ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 177

„5“ დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. კიკეთში უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილებისა და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6–17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი №2–ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) მთაწმინდის რაიონში, სოფ. კიკეთში უსახელო ქუჩებს, თანდართული რუკის თანახმად მიენიჭოს შემდეგი სახელები:

- ენათმეცნიერ ივანე გიგინეიშვილის
- მწერალ ალექსანდრე ცომაიას
- მწერალ ვლადიმერ ავალიანის
- აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძის

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_ 470627.5025
Y_ 4613256.8157
ივანე გოგინეიშვილის ქუჩა
X_ 470555.1022
Y_ 4612672.044


X_470818.2496
Y_ 4613247.0695
X_471250.1916
Y_ 4612734.2141


X_471014.5657
Y_4613070.2457
X_471459.2549
Y_4612864.0011


X_470699.2066
Y_ 4613026.3878
X_470860.0189
Y_ 4612423.516